საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალ სტანდარტებზე გადადის, რაც გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას ახალი მეთოდოლოგიის (SNA 2008) შესაბამისად.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა მნიშვნელოვან ცვლილებებს განაპირობებს ეროვნულ ანგარიშებში, რაც ერთის მხრივ უკავშირდება სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას ახალი სტანდარტის შესაბამისად, ხოლო მეორეს მხრივ - მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებას, დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებისა და ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით.

ეას-ის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები მიმდინარეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ჩართულობით, ასევე, ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის ფარგლებში, დანიისა და ჩეხეთის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლებისა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების აქტიური მონაწილეობით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ მეთოდოლოგიაზე (SNA 2008) გადასვლასთან დაკავშირებით, საქსტატი 15 ნოემბერს, 11:00 საათზე, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართავს ღონისძიებას, სადაც საზოგადოებას წარუდგენს ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ თავისებურებებს და მშპ-ისა და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების განახლებულ მონაცემებს.

გარდა ამისა, შეხვედრაზე დანიელი ექსპერტები ისაუბრებენ საქსტატსა და დანიის სტატისტიკის სამსახურს შორის ამ მიმართულებით მიმდინარე თანამშრომლობის შესახებ და დამსწრე საზოგადოებას გააცნობენ ახალი სტანდარტის (SNA 2008) დანერგვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გთხოვთ, ღონისძიებაზე თქვენი დასწრება დაგვიდასტუროთ 2019 წლის 14 ნოემბრამდე. საქსტატის მხრიდან საკონტაქტო პირი იქნება საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ეკატერინე დურგლიშვილი, ტელ: 591 414 613, ელ.ფოსტა: edurglishvili@geostat.ge.

პატივისცემით,

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი

გოგიტა თოდრაძე